გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

20 მაისი 2024

N 2-508

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „კლიმატი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის 5 დეკემბრის N2-917 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2024 წლის 15 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართა შპს „კლიმატმა“ და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-მ და ითხოვეს შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანის (HFC-227ea) 410 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ზე გადაცემა. ამასთანავე, 2024 წლის 15 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართა შპს „კლიმატმა“ და შპს „სახანძრო სისტემებმა და ითხოვეს შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანის (HFC-227ea) 240 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „სახანძრო სისტემებზე“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, 2024 წლის 15 მაისის შპს „კლიმატის“ და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს N13371 და 2024 წლის 15 მაისის შპს „კლიმატის“ და შპს „სახანძრო სისტემები“-ს N13370 განცხადებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-917 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „კლიმატზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404610694) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000050) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 10 000 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 6 000კგ;
- ქლორდიფტორმეთანის (HCFC-22) – 7 340კგ“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კლიმატს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კლიმატის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე